ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №77/01-01, 27.04. 2017 წ.
დანართი №1

2016/2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში ლატვიის უნივერსიტეტის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალისთვის გამოყოფილი სტიპენდიების კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და შერჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი
კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის წარმომადგენლებს შორის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში მოკლევადიანი სტიპენდიების კანდიდატთა შერჩევა 2016/2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის.

2. კანდიდატი და სტიპენდიატი
კანდიდატები შეირჩევიან პერსონალის წარმომადგენლებს შორის, რომლებმაც განაცხადი გააკეთეს საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე. სტიპენდიატებს შეარჩევს პარტნიორი უნივერსიტეტი თსუ-ს შესარჩევი კომისიის მიერ მიწოდებული შეფასების საფუძველზე.

3. კანდიდატების შერჩევა
ა) კანდიდატების შერჩევა ხორციელდება თსუ-ს საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების გზით შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით

1. მოტივაცია
2. სამუშაო გეგმა

4. კომისიის შეფასება
ა) კომისია ახორციელებს კანდიდატის მოტივაციისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასებას.
ბ) კანდიდატის მოტივაციისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

ბრწყინვალე -	10 ქულა
ძალიან კარგი -	9 ქულა
კარგი -	8 ქულა
დამაკმაყოფილებელი -	7 ქულა
საკმარისი -	6 ქულა
არადამაკმაყოფილებელი -	5 ქულა და ნაკლები

გ) თუ კანდიდატის მოტივაცია ან ზეპირი პრეზენტაცია შეფასებულ იქნება არადა-მაკმაყოფილებლად (5 ქულა და ნაკლები), მისი კანდიდატურა იხსნება შესარჩევი კონკურსიდან.

5. სტიპენდიატების გამოვლენა
სტიპენდიატების გამოვლენა ხდება თსუ-ს შესარჩევი კომისიის შეფასებისა და პარტნიორი უნივერსიტეტის საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე.